პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 114 (13235) | კვირა, 16 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 15 მაისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის პატივსაცემად. მეგობარი ინდოეთის მთავრობის მეთაურთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ ის პირნი, რომლებიც მას ახლავან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრიდან დარბაზობაზე იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ლალ ბაჰადურ შასტრიმ წარმოთქვეს სადღეგრძელოები. (საკდესი).

ლალ ბაჰადურ შასტრის პატივსაცემად

ინდოეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ტრილოკი ნატჰ კაულმა 14 მაისს დარბაზობა გაუმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

მისალოცი დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს იოზეფ კლაუსს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ავსტრიის რესპუბლიკის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღის — დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა გულწრფელად გილოცავენ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებენ.

განვლილი ათწლეული დამაჯერებლად მოწმობს, რომ სახელმწიფო ხელშეკრულება და მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რაც ავსტრიელი ხალხის, აგრეთვე ევროპის სხვა ხალხების ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, ავსტრიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მტკიცე საფუძველია.

ვუსურვებთ ავსტრიის ხალხს ახალ წარმატებებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. ვიმედოვნებთ, რომ მეგობრული ურთიერთობა, რაც საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის დამყარდა სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემდეგ, კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის“.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომუნიკე

ბუდაპეშტი, 14 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 11-14 მაისს მეგობრობის ვიზიტით იმყოფებოდა უნგრეთში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იანოშ პეტერის მოწვევით.

დღეს გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საუბრების დროს მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. მათ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტულ აგრესიულ პოლიტიკას და მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიული მოქმედება, და შეასრულოს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ინდოჩინეთის შესახებ.

სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს ევროპის ხალხთა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის საკითხები გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისა, რაც ევროპის უშიშროების ცენტრალური პრობლემაა.

მინისტრებმა განიხილეს აგრეთვე უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გამოირკვა, რომ მხარეებს ერთნაირი შეხედულება აქვთ ყველა აღძრულ საკითხზე.

ა. ა. გრომიკო მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარმა.

საიუბილეო მედლები მაღალეფექტურ მოქმედ პარტიელების წარმომადგენლებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სიიუბილეო მედლით — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წელი“ — დაჯილდოვდნენ მოსკოვში მყოფი საზღვარგარეთელი დელეგაციების წევრები, მომმე პარტიების ცალკეული მოღვაწენი და მუშაკები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამარჯვების დღის ზეიმში.

14 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ტულუტოვმა გადასცა მათ ეს ჯილდოები.

საზღვარგარეთის ქვეყნების მომმე პარტიების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ჯილდოსათვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ტ. ტულუტოვმა დაჯილდოებულთ მიუღოცა საიუბილეო მედლების მიღება, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი თავიანთ საქმიანობაში. (საკდესი).

ახალგაზრდობა ფიცს დებს

მოსკოვი, 14 მაისი. (საკდესი). დღეს კრემლის ყრილთან საასახლეში შეიკრიბნენ გმირი ქალაქის ახალგაზრდობა, იმათი შვილები, ვინც მკვრდით იცავდა დედაქალაქს დიდი სამამულო ომის წლებში. როგორც დიდ ზეიმს შეეგება მოსკოველი ახალგაზრდობა მიტინგს — შეხვედრას საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ომის ვეტერანებთან ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეებთან.

მიტინგი გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ტრუშინმა.

ყრილობათა სასახლეში გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნის საზეიმო ხმები. დარბაზში შემოაქვთ ომის ქარცეცხლში გამოვლილი, სამშობლოსათვის ბრძოლების ლეგენდარული დიდებით მოსილი საბრძოლო დროშები. დროშები მოაქვთ ჩვენი შეიარაღებული ძალების საუკეთესო შვილებს — საბჭოთა კავშირის გმირებს. მედროშეთა ჯგუფს მეთაურობს სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ნ. კოჟედუბი.

დედაქალაქის კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლებს დარბაზში შემოაქვთ მოსკოვის კომკავშირის ორგანიზაციის დროშები.

ახალგაზრდობას სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. კ. ტიმოშენკომ.

შემდეგ გამოვიდნენ ანტიფაშისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის გენერალი გერმან რაიჩი, „ნორმანდია-ნემანის“ სახელგანთქმული ესკადრილიის გმირი ი. იხენბაუერი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი, მანდოის გლეზსი. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვეშნიაკოვი. მოსკოვის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

გმირი ქალაქის ქალიშვილთა და ჰაბიბ შეხვედრა იმათთან, ვინც მშვიდობა მოუტანა ახალგაზრდობას, დამთავრდა კონცერტით „ომის წლების სიმღერები“.

გულთბილი, მეგობრული შეხვედრები

გიორგი ტრაიკოვი საქართველოში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი საქართველოში. სურათზე: გიორგი ტრაიკოვი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ხ. ძოწენიძე დიღომში ეცნობიან მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

როცა ბულგარელმა მეგობრებმა საქართველოს გაცნობა დაიწყეს, ხშირად წამოიძახებდნენ ხოლმე: „ეს ხომ მეორე ბულგარეთიაო!“ „იმდენად ჰგავს საქართველო მომმე ქვეყანას საბრეწველო პროფილით, სოფლის მეურნეობის ხასიათით და ჰავითაც კი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი და ბულგარეთის სხვა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი გუშინ, 15 მაისს დილით ეწვივნენ საქართველოს სსრ მეგობლობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. მ. ხომიზურაშვილმა სტუმრებს გააცნო მეცნიერთა საქმიანობა, რომლებიც მეცნიერულ-ორგანიზაციულ დახმარებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მეგობლობის, მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაში. ინსტიტუტს აქვს საცდელი სადგურების ფართო ქსელი, დიდი საექსპერიმენტო ბაზა და მისი მრავალი დასაყრდენი პუნქტი.

გ. ტრაიკოვი, რომელიც ბულგარეთის მიწათმოქმედთა კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა, დინჯტერესდა ახალი, მეურნეობისათვის ძვირფასი ჯიშების ყურძნის გამოყვანის, სტანდარტული ჯიშის ყურძნის გაუმჯობესების, ყურძნის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ავრონომიულ ღონისძიებათა შემუშავების საკითხებით და სხვ.

ბულგარელმა მეგობრებმა დაათვალიერეს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო ინსტიტუტი. სტუმრებს ეცნობა ინტერესი გამოიწვია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრმა „სვეტიცხოველმა“. სტუმრებს უამბეს მცხეთის არქიოლოგიური გათხრების შესახებ, რომლის დროს იპოვეს მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები.

შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი, რომლებშიც ბულგარელი ხალხის წარმომადგენლები ისხდნენ, გაემგზავრა გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში. მთელი სოფელი გამოვიდა ბულგარელი ძმების შესახვედრად. მათ გულთბილად მიეგებნენ ენერგეტიკის თავმჯდომარე ა. ვანიშვილი და პარტიის გორის რაიკომის მდივანი რ. ბზიშვილი.

ხიდისთავის კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან 102 ათას მანეთზე მეტი იყო. წელს აქ უფრო დიდი თანხის მიღებას ვარაუდობენ. სტუმრებს გააცნეს უხვი მოსავლის ოსტატები.

გიორგი ტრაიკოვმა გამოთქვა უველა ბულგარელი ამხანაგის აზრი და თქვა, რომ ხიდისთავის კოლმეურნეობა საჩვენებელი მეურნეობაა, საიაც შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს ეაცმა. მან გამოთქვა სურვილი, რომ ქართველმა კოლმეურნეებმა და ბულგარელმა კოოპერატორებმა დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა, უკეთ შეისწავლონ ერთმანეთის გამოცდილება.

კოლმეურნეებმა ბულგარელ მეგობრებს გააცნეს თავიანთი თვითმოქმედება. ასწავლიდნენ ქართულ ხალხურ ცეკვებს. თავის მხრივ, სტუმრებმა ხიდისთაველებს უჩვენეს თავიანთი ხალხური ცეკვები.

დამშვიდობებისას კოლმეურნეებმა ბულგარელ ამხანაგებს სთხოვეს მათი ალი და აღიარება მოუპოვა მზიურ საქართველოს.

ქება-დიდება ქართველ მევენახეებსა და მეღვინეებს!

გისურვებთ ახალ, უფრო დიდ წარმატებებს!“

გიორგი ტრაიკოვისა და მისი თანამგზავრების მოგზაურობის შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. დიდი სიამოვნება მიანიჭა სტუმრებს საქართველოს სამხედრო გზით გასეირნებამ. მათ უთხრეს, რომ ეს გზა საბჭოთა და უცხოელ ტურისტთა საყვარელი მარშრუტია. აქ სიძველეებთან ერთად ცოცხლობს დღევანდელი დღე, ყველაფერი რაც ქართველი ხალხის შემოქმედებითმა შრომამ შექმნა.

ბულგარელმა მეგობრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა დბები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობანი, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით მდებარეობენ.

მცხეთაში მეგობრები ესტუმრნენ ბებალე მიხეილ მამულაშვილს. ალტაცებით გაისიერნენ მისი შესანიშნავი ბაღის ხიენებში. სტუმრებს უთხრეს, რომ დამსახურებისათვის დეკორაციულ მებაღეობაში მ. მამულაშვილს მენინჯა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

შემდეგ დაიწყო უძველესი თვალსაჩინო ძეგლების დათვალიერება. სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრმა „სვეტიცხოველმა“. სტუმრებს უამბეს მცხეთის არქიოლოგიური გათხრების შესახებ, რომლის დროს იპოვეს მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები.

იმ ადგილებში, სადაც გიორგი დიმიტროვი ყოფილა

მეგობრული ღიმილით, მქუხარე ტაშით შეხვდნენ კურორტი-ქალაქის ბორჯომის მშრომელები და დამსვენებლები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ტრაიკოვსა და მის თანამგზავრებს.

ბორჯომის გაცნობა ჩამომსხმელი ქარხნიდან დაიწყო. მისმა დირექტორმა ნ. ბოკუჩავამ სტუმრებს უთხრა, რომ მინერალური წყალი „ბორჯომი“ მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში იგზავნება. ბულგარელმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სიამოვნებით სვამენ „ბორჯომს“ თავიანთ ქვეყანაში.

ბულგარეთის სახელმწიფო და პარტიულმა მოღვაწეებმა აღნიშნეს, რომ ბორჯომში ბევრია სამახსოვრო ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის აქ ყოფნასთან.

გიორგი დიმიტროვი, რომელმაც 1934 წლის 17 თებერვალს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა მიიღო, მოსკოვში ჩავიდა. მალე, ჯანმრთელობის აღსადგენად იგი სამკურნალოდ და დასასვენებლად ბორჯომს გაემგზავრა. ბორჯომის მკვიდრთ ახსოვთ გულითადი, ძმური შეხვედრები გიორგი დიმიტროვთან. კურორტიდან წასვლის წინ, 1934 წლის 28 აგვისტოს გიორგი დიმიტროვმა ქართველ გულითადად მისალმებოდნენ ბულგარელ გლეხებს. მოხარული ვიქნებით, კიდევ თუ ჩამოხვალთ ჩვენთან, უთხრეს კოლმეურნეებმა გიორგი ტრაიკოვს. გ. ტრაიკოვმა უპასუხა, რომ, თუ როდესმე კიდევ ჩამოვიდა საქართველოში, აუცილებლად ეწვევა მათ.

... ადგილებში, სადაც გიორგი დიმიტროვი ყოფილა

ბორჯომელ ბავშვებმა ბულგარელ სტუმრებს ბორჯომელი ბავშვების ბერეტი ჩამოსცეს ბულგარეთის ბავშვთა ბანაკის ბავშვებისადმი მიმართული ბანერი. ბულგარელ ბავშვებმა ბანერზე ბულგარეთის ბავშვთა ბანაკის ბავშვებისადმი ბანერი

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ზეიმი

(გაგრძელება)

მა ინდოეთის ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. მას ღრმად სწამდა, რომ ინდოელი ხალხი განთავისუფლდებოდა. „...სწორედ იმ ინდოეთში, — წერდა ლენინი, — სადაც დაბეჩავებულია ინგლისელთა სამი მილიონი მოჯამაგირე, იღვიძებს შეგნება და დღითიდ-ღე იზრდება რევოლუციური მოძრაობა. ყველა ისინი შეჰყურებენ ერთ ვარსკვლავს, საბჭოთა რესპუბლიკის ვარსკვლავს, რადგან იციან, რომ მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და გაუძლო უკიდურეს განსაცდელს“.

ლენინის ეს სიტყვები მოგვიანებით დაადასტურა ჯავაჰარლალ ნერუმ. თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა“ იგი წერდა, რომ „...საბჭოთა რევოლუციამ... დაანთო კაშკაშა ცეცხლი, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია. მან საძირკველი ჩაუყარა იმ ახალ ცივილიზაციას, რომელსაც უნდა ესწრაფვოდეს მსოფლიო“.

ოქტომბრის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში შემდგომი გადამწყვეტი ეტაპი იყო ფაშიზმზე გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში. ამ გამარჯვებაში მთავარი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა კავშირმა. ახლახან ზეიმით აღინიშნა ამ დიადი გამარჯვების ოცი წლისთავი. ეს იყო მსოფლიოს ყველა ხალხის საერთო დღესასწაული. ღირსშესანიშნავი თარიღის გამო ვულოცავთ ინდოეთის ხალხს, რომლის წარმომადგენელნი იბრძოდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის არმიებში.

საერთაშორისო იმპერიალიზმის შესუსტებამ, რაც გამოიწვია ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებამ, მოაახლოვა კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია ინდოეთშიც. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დიდმა ინდოელმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. საბჭოთა ადამიანები ჯერონვნად სცემენ პატივს ინდოეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა მამაცობასა და თავდადებას!

ინდოეთის განთავისუფლება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფურცელი იყო ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, შთაგონა აზიისა და აფრიკის ხალხებს კიდევ უფრო გადაჭრით ებრძოლათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამ ბრძოლაში იქმნებოდა და მტკიცდებოდა თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობა. ამ სოლიდარობაზე დაყრდნობით ბევრმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და შექმნა სუვერენული სახელმწიფოები. ეს სოლიდარობა ეხმარებოდა ეგვიპტელ ხალხს, რომელიც იმპერიალისტურ აგრესიას იგერიებდა, ალჟირელ ხალხს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძოდა. ინტერნაციონალური მხარდაჭერის ძალას გრძნობდა კუბელი ხალხი, რომელიც იგერიებდა ინტერვენტების იერიშებს, ინდონეზიელი ხალხი, რომელიც იბრძოდა რომ თავის სამშობლოსთან დასავლეთი ირიანი შეეერთებინა, და ბევრი სხვა ხალხი, როცა ინდოეთმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები, რათა კოლონიზატორები განედევნა გოადან, დამანიდან და დიუდან, შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მხარს დაუჭერდნენ მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალები. და მან მიიღო ასეთი მხარდაჭერა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ განვლილ წლებში შექმნილმა ქვეყნებისა და ხალხების ანტიიმპერიალისტურმა, ანტიკოლონიურმა ერთობამ უკვე შეასრულა თავის ისტორიული ამოცანები და შეიძლება დატოვოს საერთაშორისო ასპარეზი? რა თქმა უნდა, არა! ახლანდელი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს მთელი პროგრესული ძალების კიდევ უფრო შეკავშირებას.

მსოფლიოში ცოტა როდია რაიონი, სადაც მილიონობით ადამიანი ჯერ კიდევ იწარმოებს მძიმე ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში მათ შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ მათ დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ სხვა ხალხები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ის ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ თვითონ გმინავდნენ კოლონიურ მონობაში.

პროგრესული ძალების სოლიდარობით დაინტერესებული არიან აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ის ქვეყნები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ცხოვრების გამოცდილება უკარნახებს მათ, რომ ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევა, უცხოეთის მონოპოლიათა ბატონობისაგან განთავისუფლება ადვილი როდია, რადგან ეს მოითხოვს ბრძოლასა და დიდ მეცადინეობას.

პროგრესული ძალების საბრძოლო სოლიდარობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ წინააღუდგნენ იმპერიალისტურ რეაქციას, რომელიც აშკარად იწყებს სამხედრო მუქარის პოლიტიკას, ამწვავებს ვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. ხან ერთი, ხან მეორე ქვეყანა ხდება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის ობიექტი.

მარტო ამ ბოლო დროს ამერიკის იმპერიალიზმმა ჩაიდინა ისეთი დანაშაულობანი, როგორიც არის დამსჯელი ექსპედიცია კონგოში, აგრესიის გაფართოება სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა და, ბოლოს, დომინგოს რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია.

ამერიკის შეერთებული შტატები ათასგვარი საბაბით ესხმიან თავს სხვა ქვეყნებს. საბაბად იყენებენ ხან იმ მარიონეტის წინაშე ნაკისრ „ვალდებულებებს“, რომელიც თვითონვე დიდი ხანია ჩამოაცილეს ხელისუფლებას, ხან „ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვას“, ხან „კომუნისტურ საფრთხეს“. მაგრამ ამ საბაბთა უაზრობა მხოლოდ ცხადყოფს, თუ რა უდიერად თელავენ ფეხქვეშ ხალხთა სუვერენულ უფლებებს, რა ადვილად აღღვევენ საერთაშორისო შეთანხმებებს.

ახლა ამტკიცებენ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფნა სამხრეთ ვიეტნამში პრესტიჟის საკითხი იყოს და სწორედ ამიტომ იქიდან წასვლა არც ისე ადვილიაო. ამას ამბობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეები. მართლაც რომ უცნაური თვალსაზრისია. თუ ამერიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ქვეყნის პრესტიჟი შეიძლება აამაღლონ კოლონიური ომებით, სხვისი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით, ხალხების დამონებით, იგი თავდაყირა აყენებს პრესტიჟის მთელ ცნებას.

ისტორიას ახსოვს არაერთი მოღვაწე, რომლებიც ასე ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ. მაგრამ მათ მხოლოდ ეირცხვინეს თავი, შეარცხვინეს თავიანთი ქვეყანა და სრული კრახი განიცადეს. ასეთი მოღვაწეები ცნობილი არიან და ზედმეტად მიგვაჩნია დავასახელოთ ისინი. მეორე მხრივ, ისტორიაში ცნობილია ისეთი მაგალითებიც, როცა ზოგჯერ სახელმწიფო მოღვაწეები იღებდნენ თავისთვის მძიმე გადაწყვეტილებებს და ტოვებდნენ წინათ დაპყრობილ ტერიტორიებს და წყვეტდნენ უსამართლო ომებს. ასეთი მოღვაწეებისა და მათი სახელმწიფოების პრესტიჟი ამით როდი ილახებოდა. პირიქით, ისინი მოგებული რჩებოდნენ ხალხების თვალში. რაც უფრო ღრმად ებმებიან ამერიკის შეერთებული შტატები დანაშაულებრივ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, მით უფრო ძნელი იქნება თავი დააღწიონ მას.

ამერიკელი პოლიტიკოსები აგრეთვე ამტკიცებენ, თითქოს მათი მიზანი იყოს „დაიფარონ“ ახალგაზრდა სახელმწიფოები კომუნიზმისაგან. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ეს საბაბიც უსაფუძვლოა. რაღაც კომუნისტური საფრთხის მომიზეზებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნამდვილი ლაშქრობა დაიწყეს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ახლა სწორედ ამ მიმართულებით სურთ ბრძოლა გაუმართონ ხალხებს.

წარსული ომისა და ომისშემდგომი წლების ამბებმა ბევრი რამ ასწავლა ადამიანებს და გაადიდა მათი პოლიტიკური სიმწიფე. მათ ესმით სინამდვილეში რა მიზანს ისახავენ ამერიკის შეერთებული შტატები. ვერცერთი განთავისუფლებული ქვეყანა ვერ დარჩება განზე, რადგან იერიში მიაქვთ მათ საერთო საქმეზე, მათი ამასწინანდელი ბრძოლის წარმატებებზე. თუ დღეს დაიმონეს ერთი ხალხი, ხვალ საფრთხეში ჩავარდება მეორე. აქ შეუძლებელია რაიმე ილუზია.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს თავგანწირულ ბრძოლას, რასაც ვიეტნამელი ხალხი ეწევა ამერიკელ ინტერვენტთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ. ვიეტნამის ხალხი იცავს თავის უფლებებს, მაგრამ იგი იცავს აგრეთვე ყველა სოციალისტური ქვეყნის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის საქმეს. ამიტომ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე ინტერნაციონალური ბრძოლაა. ჩვენ ღრმა სიმპათიას ვუცხადებთ ვიეტნამის ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის საერთო საქმისათვის.

ყველა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოს მოვალეობაა დაეხმაროს იმპერიალისტური ხროკების მსხვერპლს, რომ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, დაიცვას დამოუკიდებელი განვითარების უფლება.

სწორედ ასე ესმის თავისი მოვალეობა საბჭოთა კავშირს. სოციალისტური ვიეტნამის მთავრობასთან შეთანხმებით იგი უწევს იმ დახმარებას, რომელიც საჭიროა ვიეტნამის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი მუდამ იქნება სამართლიანობის მხარეზე, ხალხთა თავისუფლების მხარეზე. ეს საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიციაა. იგი არ ემორჩილება არავითარ კონიუნქტურულ ცვლილებას.

მსოფლიოში იზრდება საპროტესტო მოძრაობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. ამ მოქმედებას ყველა გმობს. ეს ხდება იმ ქვეყნებშიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას. საბჭოთა ადამიანებმა იციან, თუ რა ძალადური ზეგავლენას ახდენენ ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებზე, როცა ისინი აშკარად გამოთქვამენ ამერიკის პოლიტიკისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. მაგრამ ეს ძალადური ზეგავლენა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ვერ უშველის, და უტაქტო ხერხები, რომლებითაც იგი სარგებლობს, კიდევ უფრო მეტად აამხედრებს მის წინააღმდეგ ხალხებს, რომლებიც იცავენ თავიანთ ღირსებას, თავიანთი აზრის დამოუკიდებლობას.

განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობამ აირჩია მიუმხრობლობის პოლიტიკა. საბჭოთა მთავრობა პატივისცემით ეკიდება ამ არჩევანს. ჩვენ გვახსოვს, რომ მიუმხრობლობის პოლიტიკის ფუძემდებელნი, რომელთა შორის იყო ინდოეთის რესპუბლიკაც, ამ პოლიტიკას ორგანულად უკავშირებდნენ აქტიურ ბრძოლას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობს დაამახინჯოს მიუმხრობლობის პოლიტიკის არსი, დასახოს იგი ვიწროდ გაგებულ ნეიტრალიზმად, როცა სახელმწიფოები ბოქლომს ადებენ თავიანთ კარს, ხურავენ დარაბებს და არა სურთ დაფიქრდნენ, რა ხდება გარე სამყაროში.

მაგრამ ასე როდი განმარტავდნენ თავიანთ კურსს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, მაგალითად, კაიროს კონფერენციაზე 1964 წელს. თავიანთ დეკლარაციაში მათ განაცხადეს, რომ სწორედ „იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი და ნეოკოლონიალიზმი წარმოადგენენ საერთაშორისო დაძაბულობისა და კონფლიქტის ძირითად წყაროს, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას“. როცა ქვეყნები, რომლებიც მიუმხრობლობის პოლიტიკას იცავენ, შეკავშირებულად გამოდიან იმპერიალისტური პროვოკაციების წინააღმდეგ და ხმას იმაღლებენ თავიანთი პრინციპების დასაცავად, ეს პოლიტიკა დადებით ზეგავლენას ახდენს ამბების მსვლელობაზე.

თუმცა მიუმხრობელი ქვეყნები არ შედიან სამხედრო დაჯგუფებებში, მათ არა სურთ გულგრილად უცქირონ დაბომბვებს, საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმასა და სხვა პროვოკაციებს. ეს ბუნებრივია, რადგან მხოლოდ მაშინ, თუ შეიგნებენ თავიანთ პასუხისმგებლობას იმპერიალისტთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეუძლიათ დაიცვან თვით მიუმხრობლობის პოლიტიკის არსებობის უფლება.

ცდილობენ რა ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იმპერიალისტები ცოტა იმედს როდი ამყარებენ უთანხმოებაზე, რომელიც განთავისუფლებულ სახელმწიფოებს შორის წამოიჭრება. იმპერიალისტებისათვის ხელსაყრელია, როცა ეს სახელმწიფოები ედავებიან ერთმანეთს, როცა მათ შორის იწყება ყოველგვარი, მათ შორის სამხედრო კონფლიქტები.

საბჭოთა კავშირი სულ სხვანაირად ეკიდება ასეთ კონფლიქტებს. ჩვენ გვაინტერესებს არა შუღლი და მტრობა, არამედ მეგობრობა და თანამშრომლობა განთავისუფლებულ სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა ადამიანებს სურთ, რომ ეს სახელმწიფოები ერთმანეთს შორის სასაზღვრო და სხვა სადავო საკითხებს მშვიდობიანი გზით წყვეტდნენ, და ამისათვის ყველა პირობაა. ჩვენი პოზიცია თანმიმდევრულია, არასოდეს არ შეგვიცვლია იგი. და მსოფლიო არაერთხელ დარწმუნებულა ამაში.

ასეთ დავაში არც ერთი მხარისათვის არ არის სასარგებლო გაჭიანურებული და მომქანცველი კონფლიქტები. ამ კონფლიქტების შეწყვეტის შედეგად აგებენ ხოლმე მხოლოდ ისინი, ვისაც სურს ხელი მოითბოს სახელმწიფოთა მტრობაზე, მაგრამ სამაგიეროდ იგებენ ხალხები, იგებს საყოველთაო მშვიდობის საქმე.

ჩვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ღრმად ჰუმანური და ოპტიმისტურია. საბჭოთა ხალხმა თავისი ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალა მშვიდობის სამსახურში ჩააყენა, არასოდეს არ გამოუყენებია და არ გამოიყენებს მას აგრესიის მიზნებით.

მაგრამ საბჭოთა ხალხს იმპერიალისტთა ვერავითარი მუქარა ვერ დააშინებს. მათი უდიდესი შეცდომა იქნებოდა ჯეროვნად არ დაეფასებინათ ჩვენი დიადი ქვეყნის ძლიერება. გამარჯვების დღეს გამართულმა სამხედრო პარადებმა ცხადყვეს, თუ რა უძლეველი სამხედრო ტექნიკით არიან აღჭურვილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. იმ პირობებში, როცა არ არის შეთანხმება განიარაღების შესახებ, ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა კვლავაც უზრუნველყოფენ, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალი იყოს ყველაზე მაღალ თანამედროვე დონეზე. თავდაცვისუნარიანობას რომ განამტკიცებს, საბჭოთა კავშირი არა მარტო თავის უშიშროებას უზრუნველყოფს, არამედ ინტერნაციონალურ მოვალეობასაც ასრულებს.

საბჭოთა კავშირის ძალა იზრდება იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა იცავს მშვიდობას, თავისუფლებასა და სოციალურ პროგრესს. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას საბჭოთა კავშირი საფუძვლად უდებს სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. ჩვენი ხალხი მუდამ იყო და არის მეგობრობის ერთგული.

მოხარული ვართ, რომ ჩვენს მეგობრებს შორის დიდი ინდოელი ხალხიც არის.

დიდად განვითარდა ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შესრულდა ათი წელი იმ მომენტიდან, რაც ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმება ბპილაის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის შესახებ. ეს საწარმო უკვე კარგა ხანია აწარმოებს ლითონს ინდოეთის განვითარებადი ეკონომიკისათვის. ბჰილაის კომბინატის შემდეგ მწყობრში დგება ინდოეთის ინდუსტრიის ახალი დარგების ისეთი საწარმოები, როგორიც არის რანჩის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, ტორეგუერის სათოსაშახტო მოწყობილობის ქარხანა, მთელი რიგი — მაკონომოპოვებითი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ერთმანეთს ეხმარებიან აწარმოებენ, საჭირო საქონელს აწვდიან ერთმანეთს. რაც უფრო გაცხოველებული და მრავალმხრივია საეკონომიური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, მით უფრო მეტად ენდობიან ერთმანეთს ეს სახელმწიფოები. სსრ კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ახლანდელი ვიზიტის ერთ-ერთი დადებითი შედეგია ის შეთანხმება, რომ 1970 წლისათვის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 2-ჯერ უნდა გაიზარდოს.

მოსკოვში გამომგზავრების წინ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მაღალი შეფასება მიეცით საბჭოთა კავშირის დახმარებას ინდოეთის ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში. თქვენთან ერთად გამოვთქვამთ კმაყოფილებას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური თანამშრომლობის მიმდინარეობით.

საბჭოთა ადამიანები მოხარული არიან, რომ ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს ინდოელი ხალხის წინაშე მდგომი ეკონომიური პრობლემების გადაჭრას. ჩვენ გვჯერა იმ მუშაობის წარმატება, რომელიც თქვენში წარმოებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, გვწამს ინდოეთის განვითარება, გვწამს მისი მომავალი. ინდოეთი დიდი ქვეყანაა მოსახლეობის რიცხვით, ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების ოდენობით, მისი როლი საერთაშორისო ცხოვრებაში. უდიდესია თვით ინდოელი ხალხის შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ეს არის დიდად ნიჭიერი, თავდადებული ხალხი, რომელმაც კოლონიზატორების წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლის მრავალი წლის განმავლობაში გამოიმუშავა შეუდრეკლობა და სიმტკიცე, რაც საჭიროა დასახული მიზნების მიღწევისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელით, საბჭოთა მთავრობის სახელით გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, აცნობოთ მეგობარი ინდოეთის ხალხსა და მთავრობას, რომ ჩვენ უაღრესად გულწრფელად ვუსურვებთ დიდ წარმატებებს სამშობლოს ეკონომიკის განმტკიცებაში.

დარწმუნებული ვართ, თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე იყო, ახალ პერსპექტივებს დასახავს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. კმაყოფილი ვართ აზრთა ნაყოფიერი ურთიერთგაზიარებით, რაც ამ დღეებში გვქონდა. ჩვენი საუბრების დროს დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომ კიდევ უფრო განვითარდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა სხვადასხვა დარგში, დაისახა მიმართულებანი ეკონომიური თანამშრომლობისა ინდოეთის მე-4 ხუთწლიანი გეგმის შესრულების პერიოდში. ასევე ნაყოფიერად, ურთიერთგაგების სულისკვეთებით განვიხილეთ ბევრი აქტუალური საერთაშორისო საკითხი.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის თანამშრომლობის გაფართოება მარტო ჩვენი ორი სახელმწიფოს ინტერესებს როდი შეესაბამება. იგი ხელს უწყობს სოციალისტური და მიუმხრობელი ქვეყნების ხალხთა შეკავშირებას, ყველა იმ ხალხის ინტერესებს, რომლებიც იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იცავენ მშვიდობის. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალებს. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა ხელს უწყობს მდგომარეობის სტაბილიზაციას სამხრეთ აზიაში, აძნელებს იმპერიალისტურ ინტრიგებს ამ რაიონში და ამრიგად განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა ადამიანები აფასებენ თავიანთ მეგობრობას ინდოეთის ხალხთან, მიაჩნიათ იგი ჩვენს საერთო მონაპოვრად, ჩვენს საერთო წვლილად ხალხთა თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცების საქმეში. მაშ დავიცვათ და განვავითაროთ ეს მეგობრობა.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა მისი ურთიერთობა ინდოეთთან სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი იყოს, სულ უფრო მდიდარი შინაარსისა იყოს.

დაე დღითიდღე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას!

(ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ხანგრძლივი ტაში).

• • •

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა, როდესაც ტრიბუნაზე ავიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი.

ლალ ბაჰადურ შასტრის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარეე, თქვენო აღმატებულებავ!

მეგობრებო!

ჩემთვის დიდ პატივად მიმაჩნია ამ მეგობრულ კრებაზე ყოფნა და სულით და გულით ვიზიარებ იმ მხურვალე გრძნობებს, რომლებიც თქვენ გამოთქვით. ვფიქრობ, რომ ჩემს შეხვედრებს იმ ქვეყნის ხელმძღვანელებთან, რომელიც მტკიცედ არის ინდოეთთან დაკავშირებული, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მინდა განვუცხადო თქვენს აღმატებულებებს, რომ ინდოეთის ხალხი ღრმა პატივს სცემს საბჭოთა კავშირის ხალხებს და დიდად აფასებს ამ ღრმა და მზარდ მეგობრობას ჩვენს შორის.

თუმცა მთავრობებს შეუძლიათ დასახონ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების გზა, მაგრამ ამ მეგობრობის განმტკიცება საბოლოოდ დამოკიდებულია თვით ხალხების მეცადინეობაზე. ინდოეთის ხალხმა და საბჭოთა კავშირის ხალხმა უკვე ცხადყვეს, რომ მათ აერთიანებს ნამდვილი, მტკიცე და ურღვევი მეგობრობა. ჩვენს ურთიერთობას საფუძვლად უდევს არა დროებითი ხასიათის მოსაზრებანი, არამედ იმის ღრმა

(დასასრული მე-3 გვერდზე).

დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ექსპერიმენტი

კითხვა: ამას წინათ პრესა იუწყებოდა, რომ მთვარისაკენ გაშვებულია ავტომატური სადგური „ლუნა-5“. ხომ არ შეგიძლიათ დაწვრილებით გაგვაცნოთ ამ ექსპერიმენტის ამოცანები და რა მნიშვნელობა აქვს მას მთვარის კვლევისათვის.

პასუხი: უკვე დიდი ხანია წარმოებს მთვარის კვლევა ასტრონომიულ საშუალებათა დახმარებით და ამ მხრივ საბჭოთა მეცნიერებმა და საზღვარგარეთის მეცნიერებმა დიდ შედეგებს მიაღწიეს. ახლა ჩვენ ბევრი რამ ვიცით მთვარის რელიეფის, მის ძირითად ფიზიკურ დახასიათებათა შესახებ. მაგრამ მთვარის, უფრო დეტალური კვლევა შეიძლებელი გახდა მხოლოდ კოსმოსურ საუკუნეში ავტომატური აპარატების საშუალებით, რომლებსაც ვუშვებთ მთვარისაკენ და უშუალოდ მის ზედაპირზე.

პირველმა მიაღწია მთვარეს საბჭოთა სადგურმა „ლუნა-2“. მან მოახდინა მნიშვნელოვანი მეცნიერული გაზომვები და, კერძოდ, აღმოაჩინა, რომ მთვარის მაგნიტური ველი მეტად უმნიშვნელოა დედამიწის მაგნიტურ ველთან შედარებით. ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-3“ საშუალება მისცა საბჭოთა მეცნიერებს გადაეღოთ მთვარის მეორე მხარის სურათი, რომელიც არ მოჩანს დედამიწიდან, და პირველად გადმოეცათ კოსმოსური მანძილიდან სატელევიზიო გამოსახულებანი დედამიწაზე.

ამერიკელმა მეცნიერებმა მიიღეს მთვარის ზედაპირის საინტერესო სურათების სერია. სურათები გადაღებულია ახლო მანძილიდან „რეინჯერის“ ტიპის კოსმოსური აპარატების საშუალებით.

რა თქმა უნდა, მთვარის შესწავლისა და კვლევის ყველაზე საინტერესო და ყველაზე ეფექტიანი მეთოდია ისეთი ავტომატური სადგურის დაშვება მთვარის ზედაპირზე, რომელშიც იქნება სამეცნიერო აპარატურა და საკავშირო ინფორმაციის კავშირები. ისინი შეძლებენ დედამიწაზე გადმოსცენ როგორც რელიეფის გამოსახულებანი დაშვების ადგილის უშუალო სიახლოვეზეს, ისე მთვარის ზედაპირის ფიზიკური პარამეტრების უშუალო გაზომვათა მონაცემები. მაგრამ ავტომატური სადგური რბილად დაშვება მთვარის ზედაპირზე კოსმოსური სივრცის ათვისების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული, ჯერ კიდევ გადაუჭრელი ტექნიკური პრობლემაა. ამის სირთულე ის არის, რომ მთვარეზე ატმოსფეროს უქონლობის გამო შეუძლებელია რბილად დაშვების იმ საშუალებათა გამოყენება, რომლებიც საბჭოთა კოსმონავტების გაფრენების დროს გამოგიყენეთ და რომლებიც კარგად გამოგვადგა. ატმოსფეროს უქონლობა გამორიცხავს აპარატის დამუხრუჭებას ატმოსფეროს წინააღმდეგობით და საპარაშუტო სისტემის გამოყენებას.

მთვარის ზედაპირზე დაშვებისას აპარატის დიდი სიჩქარის (წამში დაახლოებით 2.300 მეტრი) შენელება ხდება სამუხრუჭე ძრავის მეშვეობით, თანაც დამუხრუჭება უნდა დაიწყოთ მთვარის ზედაპირიდან შედარებით მცირე სიმაღლეზე და დავამთავროთ ზუსტად მთვარის ზედაპირთან. თუ კოსმოსური აპარატის მოძრაობის სიჩქარეს დადგენილ დროზე რამდენადმე აღრე შევანელებთ, იგი პირდაპირ დაეცემა ამ სიმაღლიდან მთვარეზე და დაიმსხვრევა, თუ სიჩქარის შენელებას ვერ მოვასწარით, ისე მარცხი მოგველის. ამ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ უნდა შევინარჩუნოთ სადგურის ძალიან ზუსტი ორიენტაცია მთვარის ზედაპირის მიმართ დამუხრუჭების პროცესში და ზუსტად დავიცვათ სამუხრუჭე ძრავის მუშაობის გათვალისწინებული რეჟიმი. საბჭოთა მეცნიერები სერიოზულად სწავლობენ მთვარეზე რბილად დაშვების პრობლემას.

ავტომატური სადგურის „ლუნა-5“-ის გაშვება ძირითად მიზნად ისახავდა მიგვეკო ინერველი საცდელი მონაცემები სადგურის ყველა იმ სისტემის მუშაობის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ მთვარეზე რბილად დაშვებას ფრენის ბუნებრივ პირობებში და ურთიერთმოქმედების დროს. უნდა შეგვემოწმებინა ავტომატური სადგურის ფრენის ასტროსორიენტაციით და საკორექციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გაფრენას მთვარის გათვალისწინებულ რაიონში; უნდა შეგვემოწმებინა რბილად დაშვების სისტემა, რომლის მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული და განსაზღვრული ასტროსაკორექციო აპარატურისა და მენისზეცა. ამ ამოცანებიდან საკომანდო კომპლექსის მუშაობასთან, და, ბოლოს, შეგვემოწმებინა სადგურის ავტომატიკა, რომელიც ითანხმებს სადგურის აპარატურის მთელ მუშაობას.

წინა გაფრენის დროს ბევრი პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი ამოცანა გადაწყდა. მიგიღეთ ცნობები იმ მრავალი სისტემის მუშაობის შესახებ, რომლებიც საჭიროა რბილად დაშვების რეალიზაციისათვის. შემოწმებული ექსპერიმენტი საშუალებას მოგვცემა კიდევ უკეთ დავამუშაოთ მთვარეზე რბილად დაშვების სისტემა. რა თქმა უნდა, ავტომატური სადგურის „ლუნა-5“-ის ამ გაფრენით როდი გადაიჭრა რბილად დაშვების ყველა პრობლემა. შემდეგი ექსპერიმენტების დროს შეიძლება ახალი სიძნელენი წარმოიშვას,

მშვიდობის დაცვა წმიდათაწმიდა ვოვალეობაა!

14 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში დამთავრდა ომისა და ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის ვეტერანთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეების პლენარული სხდომა.

...აღმფრთოვანებელი იყო შეხვედრის უკანასკნელი წუთები. ყველა მონაწილე — 26 ქვეყნის ომის ვეტერანებისა და ანტიფაშისტი მებრძოლების წარმომადგენლები ფეხზე წამოდგნენ. სვეტებიან დარბაზში გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ხალხთა დიად ძმობას მშვიდობისათვის ბრძოლაში! დარბაზის ყველა კუთხიდან ისმოდა მოწოდებანი განამტკიცონ ერთობა, გაჩაღების საშუალება არ მისცენ ახალ მსოფლიო ხანძარს. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში

„ბეჭდვითი სიტყვის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი

მოსკოვი, 14 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს დებულება „ბეჭდვითი სიტყვის წარჩინებულის“ საპატიო სიგელისა და სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.

საპატიო სიგელი დაწესდება მოწინავე კოლექტივების, აგრეთვე ცალკეული მუშაკების წასახალისებლად, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის გაუმჯობესებასა და განვითარებაში. სიგელებით დაჯილდოვდებიან ისინი, ვინც წარმატებით იბრძვიან ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე გამოშვებისათვის, გამოცემათა მხატვრული გაფორმების მაღალი ხარისხისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის, წიგნის ვაჭრობის ჩინებული ორგანიზაციისათვის, წიგნის გავრცელებაში პროფაგიტაციული ფორმების დანერგვისა და საზოგადოებრივი საწყისების განვითარებისათვის და სხვ.

**

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ზეიმი

(დასასრული)

და გულწრფელი გაგება, რომ მშვიდობის ზონის გაფართოება და გადიდება საუკეთესოდ უწყობს ხელს მთელი კაცობრიობის ინტერესების დაკმაყოფილებას.

ჩვენი მჭიდრო კავშირი მიმართული არ არის რომელიმე სხვა ქვეყნის ან რომელიმე სხვა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. პირიქით, თქვენც და ჩვენც გულწრფელად გვსურს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა გაერთიანდეს ურთიერთ პატივისცემისა და ღრმა ურთიერთგაგების საფუძველზე.

ჩვენი მისია მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა ასეთი დღე დადგება. ინდოელი ერის მამას მაჰატმა განდისა და ჩვენს დიდ ეროვნულ ლიდერს, თანამედროვე ინდოეთის შემქმნელს ჯავაჰარლალ ნერუს ყოველთვის სწამდათ, რომ ინდოეთის თავისუფლება მხოლოდ ნაწილი იქნება მთელი დედამიწის ჩაგრული ხალხების თავისუფლებისა. ამ ადამიანებს უდიდესი შორსმჭვრეტელობა და უსაზღვრო იდეალი ჰქონდათ. ისინი გვინერგავდნენ რწმენას, რომ ინდოეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სრული არ იქნება მანამდე, სანამ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანა უცხოეთის მონობაში დარჩება.

ამიტომ, როცა ჩვენ მივაღწიეთ დამოუკიდებლობას, არ ვფიქრობდით, რომ საქმე დამთავრდა. ვიცოდით, რომ განთავისუფლების პროცესი მხოლოდ დაიწყო და რომ დიდი გზა მოგველის. აი რატომ იყო, რომ ამ წლების მანძილზე ჩვენ მტკიცედ ვუჭერდით მხარს ყველა ხალხს, რომელიც იბრძოდა კოლონიური ბატონობისაგან დამოუკიდებლობისათვის.

ინდოეთის ხალხს მტკიცედ სწამს, რომ საყოველთაო მშვიდობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, როცა აღმოიფხვრება კოლონიალიზმის უკანასკნელი ნაშთები. ამიტომ დღეს კვლავ მინდა გავიმეორო, თუ რამდენად მტკიცედ ვუჭერთ მხარს ისეთი ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და უცხოეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისადმი, როგორიც არიან ანგოლა, მოზამბიკი, სამხრეთი როდეზია, სამხრეთი აფრიკა. ბედნიერი ვარ, რომ ამ კეთილშობილურ ასპარეზზე საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ყოველთვის მხარდამხარ დგანან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხშირად ვფიქრობ, რატომ არის, რომ დღესაც კი ზოგიერთი კოლონიური ქვეყანა კვლავ ეპოტინება თავის კოლონიებს. ჩემი აზრით, ამ სახელმწიფოებმა არ უნდა უგულებელყონ რეალური სინამდვილე. მათ ანგარიში უნდა გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გადაჭრით უჭერს მხარს განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველა ქვეყანაში, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ სახელმწიფოთა მონობაში იმყოფებიან. სავსებით აუცილებელია, რომ კოლონიები რაც შეიძლება მალე გახდნენ თავისუფალნი. თუმცა მთელმა რიგმა ქვეყნებმა უკვე მიაღწიეს დამოუკიდებლობას, კოლონიალიზმი ჯერ კიდევ ცოცხალია, და იგი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, რათა ადამიანებმა ყველგან შეძლონ ცხოვრება თავისუფლების პირობებში და ეროვნული ღირსების გრძნობით.

როგორც ინდოეთს, ისე საბჭოთა კავშირს მტკიცედ სწამთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. მშვიდობა აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ გადავარჩინოთ კაცობრიობა ახლანდელ თერმოატომურ საუკუნეში. ჩვენ უნდა ვთანამშრომლობდეთ მშვიდობის განმტკიცებისა და ინტერნაციონალური მეგობრობის და კეთილ ნების განვითარების მიზნით.

აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშვიდობა განუყოფელია და ომის საფრთხე, სადაც უნდა წარმოიშვას, იგი, საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. გულწრფელად ვიმედოვნებ და სულით და გულით მოველი, რომ ინდოეთი და საბჭოთა კავშირი ერთად მძლავრ მხარდაჭერას აღმოუჩენენ მშვიდობის ძალებს ჩვენს მსოფლიოში, რომელშიც უამრავი უთანხმოებაა.

ჩვენ უაღრესად გვაშფოთებს ის მდგომარეობა ვიეტნამში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ჩვენი სურვილია, რომ ვიეტნამში მშვიდობა აღდგეს, უნდა შეწყდეს ყოველგვარი ჩარევა გარედან, და ვიეტნამელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა იცხოვროს ღირსებისა და თავისუფლების პირობებში.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს შეიარაღებულ კონფლიქტს, რომ მხარეებმა დატოვონ ბრძოლის ველი და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ვიეტნამის პრობლემა სამხედრო გზით არ გადაიჭრება. მე უკვე საჯაროდ განმიცხადებია, რომ უნდა შეწყდეს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა და შეიქმნას შესაბამისი ატმოსფერო მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ იმ ქვეყნების ძირითადი მოვალეობა, რომლებმაც მიაღწიეს კოლონიური ბატონობისაგან დამოუკიდებლობას, უნდა გახდეს იმ ხალხთა ბედის შემსუბუქება, რომლებიც ესოდენ დიდხანს იტანჯებოდნენ უცხოეთის მონობაში. მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურ განვითარებას, რათა სამართლიანი ეკონომიური და სოციალური წყობილების შექმნის შედეგად ხალხი უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი საჭმლით, ტანსაცმლით, ბინით, განათლებით, სამედიცინო დახმარებით და ა. შ. ამიტომ მშვიდობას საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნებისათვის.

ისინი, ვინც ცდილობს შექმნას უთანხმოების ატმოსფერო და გაამლიეროს დაძაბულობა, განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნების მეგობრები არ არიან. ფაქტიურად ისინი აიძულებენ განვითარების გზაზე მდგომ ქვეყნებს ეკონომიური განვითარების პროექტებისათვის გასაკუთვნილი ისედაც შეზღუდული რესურსებიდან გამოჰყონ სახსრები შეიარაღებისათვის ეროვნული თავდაცვის მიზნით.

ჩემი აზრით, ახლა მშვიდობას დედამიწაზე ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის ატომური იარაღის გავრცელება. საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა და ხელი შეუწყო ღონისძიებებს ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების შეწყვეტისათვის. აშკარად ეს იყო მიზანი მოსკოვის ხელშეკრულებისა სამ სფეროში გამოცდის აკრძალვის შესახებ. მაშინ, როცა თქვენი ქვეყანა ცდილობს ხელი შეუწყოს ღონისძიებებს ატომური იარაღის დარგში, ჩინეთმა ააფეთქა კიდევ ერთი ატომური მოწყობილობა. ეს ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელია ატომური იარაღისადმი კონტროლისა და საბოლოოდ მისი მოსპობის პრობლემა.

ჩვენ, ინდოეთში, მტკიცედ გვწამს, რომ თუ უახლოეს დროში ეფექტიანი ღონისძიებები არ განხორციელდა ატომური საფრთხისადმი კონტროლისათვის, მსოფლიო შეიძლება მივიდეს იმ სტადიამდე, საიდანაც დაბრუნება შეუძლებელია.

მოგიწოდებთ თქვენ, ჩემო მეგობრებო, უდიდესი ყურადღება მიაქციოთ ამ საშიშროებას, რომელიც კაცობრიობას ემუქრება და შეიმუშაოთ შესაბამისი ღონისძიებანი ამ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმ დროს, როცა ინდოეთი მტკიცედ ახორციელებს მიუმხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, გარკვეული ქვეყნები შურიანი თვალით უყურებენ ინდოეთის ტერიტორიას და ცდილობენ დაარღვიონ ჩვენი საზღვრები. ამგვარად, საფრთხე ექმნება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს. ჩვენ, როგორც ხალხი, მხარს ვუჭერთ მშვიდობას და მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებას საერთაშორისო დავის მოწესრიგებისათვის. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ერთად დავსხდეთ და განვიხილოთ ის სადავო საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოჭრას. მაგრამ თუ მშვიდობისა და მოლაპარაკების გზას უარყოფენ და მოხდება აგრესია, ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და საზღვრები.

ასეთ სიტუაციაში არავითარი მსხვერპლი არ შეიძლება იყოს მეტად დიდი. ჩვენი მოვალეობა — დავიცვათ ჩვენი თავისუფლება — ყოველ სხვა მოვალეობაზე მაღლა დგას. მიხდა ნათლად განვაცხადო, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს დავიპყროთ თუნდაც ერთი დიუმი სხვისი ტერიტორია. ეს აზრადაც არ მოგვსვლია. მაგრამ, ამავე დროს მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი არ მივცეთ საშუალება, რომელიმე სხვა სახელმწიფოს ძალით დაიპყროს ჩვენი ტერიტორიის რაიმე ნაწილი, მიუხედავად იმისა, თუ ვისთან არის ეს სახელმწიფო დაკავშირებული და როგორია მისი ძლიერება.

ჩვენ კვლავ გულწრფელად გვწამს, რომ იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტაზე მშვიდობა იყოს, საჭიროა საყოველთაო განიარაღება როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი იარაღის მხრივ. ჩვენ ვულოცავთ საბჭოთა მთავრობას მის ინიციატივას ატომური იარაღის დარგში, როცა იგი მტკიცედ მოითხოვდა მოსკოვის ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ატომური განიარაღების მიღწევის გზაზე, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ნაბიჯს მოჰყვება ყველა ატომური გამოცდის, მათ შორის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვა და ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვა მთელ მსოფლიოში. აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ სრული და საყოველთაო თანდათანობითი განიარაღება საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის სათანადო საშუალებების გამოყენებით მიღწეული იქნება ჯერ კიდევ ჩვენს სიცოცხლეშივე და არცთუ მეტად შორეულ მომავალში.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩემი მთავრობა და ჩემი ხალხი გულწრფელად ითანამშრომლებენ ამ საქმეში თქვენთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან.

თქვენო აღმატებულებავ! თუმცა ჩემს ქვეყანას რთული სიტუაცია შეექმნა საზღვარზე, ჩვენ კვლავ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვაგრძოთ ჩვენი გეგმების განხორციელება, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და სოციალური და ეკონომიური შინაარსი ჩავაქსოვოთ ჩვენს [illegible] ბას. მაგრამ ჩვენ დაძაბული შრომა გვიძღვნია [illegible] ნი ხალხის ნებაყოფლობითი [illegible] დავჭრათ ეს პრობლემები, [illegible] ბის დონე, განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მივაღწიოთ იმ მიზნებს, რომლებიც ჩვენმა კონსტიტუციამ დასახა. ჩვენ გვწამს ყველა რასისა და რელიგიის თანასწორობა, გვწამს ადამიანთა თანასწორობა, გვწამს სოციალიზმი და იმედი გვაქვს, რომ ამ მიზნებს მივაღწევთ საკუთარი გზით ჩვენი ხალხის უხარის შესაბამისად, უმთავრესად ჩვენი ხალხის მეცადინეობით.

ინდოეთის მთავრობა და ხალხი მოხარული არიან, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის ყოველთვის იყო შეგობრული ურთიერთობა. ინდოეთის მთავრობა და ხალხი დარწმუნებული არიან, რომ ეს ურთიერთობა სულ უფრო განმტკიცდება. ამ ბოლო სამ წელიწადში ჩვენი ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან ერთიორად გაიზარდა, და იმედი მაქვს, რომ შემდგომ ორ წელიწადში იგი კიდევ ერთიორად გაიზრდება. გვჯერა, რომ ჩვენი შეგობრობა ხელსაყრელია ორივე ქვეყნისა და ორივე ხალხისათვის. საბჭოთა კავშირში ვიზიტმა დამარწმუნა, რომ საბჭოთა და ინდოელი ხალხები ერთად შეიძლება მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის ყველაზე მძლავრი ფაქტორი გახდნენ.

მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, მოდით ნუ შევცდებით ერთ რამეში: მსოფლიომ კვლავ იწყო მშვიდობის გზიდან თანდათანობით გადასვლა გახხეთქილების გზაზე. საჭიროა უდიდესი სახელმწიფოებრივი სიბრძნე იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოახლოებული კონფლიქტი. მოდით გადავწყვიტოთ, რომ ჩვენ ერთად შეგვიძლია ნელი შევუწყოთ სახელმწიფოებრივი სიბრძნით აღსავსე ასეთი ხელმძღვანელობის შექმნას, რათა აღვადგინოთ მშვიდობიანი ატმოსფერო. სწორედ ამ უფრო ფართო თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ჩვენი მეგობრობის მნიშვნელობა.

დასასრულს უახლოვდება ჩემი ვიზიტი თქვენს დიდ დედაქალაქ — მოსკოვში. ამ საღამოს ლენინგრადში მივდივარ. იმ დღეებში, რომლებიც აქ გავატარე, აღტაცებული ვიყავი გულთბილობით, რომელიც თქვენი დიადი ქვეყნის ხელმძღვანელებმა და ხალხმა გამოიჩინეს ჩემი მეუღლისა და ჩემდამი. საბჭოთა ადამიანები უაღრესად ადამიანურნი, პირდაპირი და გულწრფელნი არიან. მინდა დაგარწმუნოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ 470-მილიონიანი ინდოელი ხალხი სულით და გულით უპასუხებს ამ გრძნობებს. ჩემი თანამემამულეების სახელით მივესალმები საბჭოთა ხალხს და ვუსურვებ კეთილდღეობასა და აყვავებას.

(ლალ ბაჰადურ შასტრის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

* * *

ა. ნ. კოსიგინისა და ლალ ბაჰადურ შასტრის სიტყვების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში, რითაც მიტინგის მონაწილენი გამოხატავდნენ საბჭოთა ადამიანების მეგობრულ გრძნობებს ინდოელი ხალხისადმი.

მიტინგი დახურულად ცხადდება. იგი იმ გულწრფელი ურთიერთობის მკაფიო დემონსტრაცია იყო, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის არსებობს და რომელიც წლითიწლობით მტკიცდება და ფართოვდება ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის საკეთილდღეოდ.

(საკდესი).

ალიკვეთოს აგრესიული ომი!

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲓᲛᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წითელი ჯვრის საზოგადოებათა ხელმძღვანელებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლინდონ ბ. ჯონსონს, რომელიც ამერიკის წითელი ჯვრის საპატიო პრეზიდენტია, გაუგზავნეს წერილი, სადაც დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ძლიერდება და ფართოვდება ამერიკის შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედება ვიეტნამში.

წერილში აღნიშნულია, რომ ამერიკის თვითმფრინავები ბარბაროსულად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებს, იყენებენ ნაპალმს, მომწამვლელ ნივთიერებებს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ, ანადგურებენ მთელ რაიონებს, სპობენ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, ულტენ მშვიდობიან მოსახლეობას, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. წერილში ნათქვამია, რომ ასეთი მოქმედება აღმაშფოთებელი დარღვევაა საერთაშორისო სამართლისა, უნევს კონვენციებისა ომის მსხვეპლთა დაცვის შესახებ, წითელი ჯვრის იმ საერთაშორისო კონფერენციების გადაწყვეტილებებისა, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

სოციალისტური ქვეყნების წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებათა ხელმძღვანელები იმედს გამოთქვამენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იხელმძღვანელებს ჰუმანური პრინციპებით, გამოიყენებს თავის დიდ ავტორიტეტს და შეაჩერებს იმ მოვლენებისა საშიშ განვითარებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საზარელი მსოფლიო კატასტროფა. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ ლინდონ ბ. ჯონსონი ყველაფერს იღონებს, რათა შეწყვიტოს აგრესიული ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ამ ომის შედეგად უზომო ტანჯვასა და უბედურებას განიცდის. (საკდესი).

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲨᲔᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐ

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ. შვეიცარიაში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მხედრობნი ბარბაროსულად მოქმედებს ვიეტნამში და ამერიკის შეერთებული შტატები ერეკვიან დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

შვეიცარის კომუნისტური პარტიის ცნობილი ვეტერანი ჯ. სენნანდერი „ნიუ დაგის“ ფურცლებზე მოითხოვს გამოიყვანონ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები. ეს უნდა მოითხოვოს ყველამ, ვისაც მშვიდობა სურს, ხაზგასმით აღნიშნავს იგი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს იტალიელ მედიკთა ჯგუფის ინიციატივას სახსრების შეგროვებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკაში საველე ჰოსპიტლის გაგზავნის შესახებ. იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სამდივნომ უკვე შეიტანა 500 ათასი ლირა.

მილანოს გაზეთი „იტალია“ მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას დომინგოს რესპუბლიკაში. „საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, — წერს გაზეთი, — არ შეიძლება არსებობდეს პოლიციელი, რომელიც თავის ნებაზე „დაამყარებს წესრიგს“ და განაზორციელებს „წმენდას“ და ანგარიშს არ გაუწევს იმას, თუ როგორ შეხედავენ ამას სხვები“.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 მაისი. (საკდესი). ამერიკის ტელევიზიით გუშინ საღამოს უჩვენეს პროგრამა „ადამიანი, რომელიც კოსმოსში გავიდა“, ეს გადაცემა მიეძღვნა საბჭოთა კოსმონავტების პ. ბელიაევისა და ა. ლეონოვის გმირობას.

ინტერვიუ კოსმონავტებს გამოართვა მოსკოვში რადიოსატელევიზიო კომპანია „ნეშნო ბროდკასტლინგის“ კორესპონდენტმა.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ. დომინგოს რესპუბლიკის ხალხი მზად არის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკელ აგრესორებს, ამით ახალი ფურცელი იწყება იანკების იმპერიალიზმის წინააღმდეგ ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლის ისტორიაში, ნათქვამია აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადებაში, რომელიც ჰავანაში გამოქვეყნდა.

ასოციაცია გულისწყრომით გმობს ამერიკელი იმპერიალისტების თავხედურ ინტერვენციას.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ. არგენტინაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საპროტესტო მოძრაობა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიულად მოქმედებენ დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. არგენტინის პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ შეწყვიტონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებული ჩარევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

არგენტინის დედაქალაქში ეროვნული კონგრესის შენობასთან გაიმართა დომინგოელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგი, რომელზეც ორმოცათასამდე კაცმა მოიყარა თავი.

დომინგოელი ხალხისადმი სოლიდარობის დემონსტრაციები გაიმართა არგენტინის სხვა ქალაქებშიც.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. გადამდგარმა ამერიკელმა კონტრ-ადმირალმა, ამყამად კალიფორნიის უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის პროფესორმა არნოლდ ტრუმ ამერიკის ყოველთვიურ ჟურნალს „პროგრესივს“ გაუგზავნა წერილი, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს ვიეტნამის მიმართ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. „ჩვენ „თავისუფლებას“ კი არ ვიცავთ ვიეტნამში, —წერს იგი. — ჩვენ ვეხმარებით დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც პოპულარული არ არიან ხალხში. ხალხებს მშვიდობა და ბრინჯი სურთ, და არა „თავისუფლება“...

ამერიკის ჟურნალი „რემპარტს მეგზენი“, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს შეერთებული შტატების სავიეტნამო პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალაუფლებით აღჭურვილი ვაშინგტონელნი ვიეტნამელებს „აგდებით ეპყრობიან და ნაპალმს უშენენ ქალებსა და ბავშვებს იმის ნაცვლად, რომ საშუალება მისცენ ხალხს თვითონ განსაზღვროს თავისი მომავალი და აირჩიოს ხელმძღვანელები“.

(საკდესი).

ᲔᲠᲰᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 14 მაისი. (საკდესი). დღეს აქ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი ერჰარდი და თქვა, ივნისის დამდეგს შეერთებულ შტატებში ვაპირებო წასვლა. ვაშინგტონში ერჰარდი პრეზიდენტ ჯონსონს შეხვდება საერთაშორისო მდგომარეობის და, განსაკუთრებით, გერმანიის საკითხის განსახილველად. ერჰარდმა განაცხადა, რომ მისი მთავრობის პოლიტიკას გერმანიის საკითხში კვლავაც საფუძველად ის დაედება, რომ „ოთხი სახელმწიფო პასუხისმგებელია გერმანიის საკითხის გადაჭრისთვის“.

დასავლეთ გერმანიის კანცლერმა კვლავ მოითხოვა „ევროპის პოლიტიკური გაერთიანების“ შექმნა. ამ გაერთიანების შექმნის „საშუალებებისა და მეთოდების“ საკითხის განხილვას ერჰარდი აპირებს საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან მოლაპარაკების დროს, რაც 11-12 ივნისს გაიმართება ბონში. ერჰარდმა უპასუხა ერთ-ერთ კითხვაზე და აღიარა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთს შორის არის უთანხმოებანი „ნატოს თავდაცვის საკითხებში“.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე საპროცედურო დისკუსიის შემდეგ გადაწყვეტეს პოესმინით დომინგოს რესპუბლიკაში ორი მტრული ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატები 13 მაისს სხდომაზე ილაშქრებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭოს მოესმინა დომინგოს რესპუბლიკის ამ დროებითი მთავრობის წარმომადგენლისათვის, რომელსაც პოლკოვნიკი კამანო მეთაურობს. გუშინ, მას შემდეგ, რაც საბჭომ ასეთი თხოვნა მიიღო სამხედრო ხუნტისაგან, ისინი დათანხმდნენ, რომ საბჭოს მოესმინა „ორივე მხარისათვის“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა განაცხადა, რომ იგი უკვე მიმართავს ღონისძიებებს გუშინ დღით მიღებული ამ რეზოლუციის პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომელიც ითვალისწინებს დომინგოს რესპუბლიკაში გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის გაგზავნას. 14 მაისს ღამით, განაცხადა მან, სანტო-დომინგოში მიფრინავს „მეწინავე ჯგუფი“, რომელშიც გენერალური მდივნის 3-4 თანამშრომელი შედის. ჯგუფს მეთაურობს უ ტანის სამხედრო მრჩეველი გენერალი რიკმ (ინდოეთი). პირადი წარმომადგენლის დანიშვნას უახლოეს ხანს მოელიან.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 19 მაისს. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ ამასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო შეიძლება საჭირო გახდეს საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

ᲡᲐᲜᲢᲝ-ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 მაისი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკაში მყოფი ამერიკის საოკუპაციო ჯარები რესპუბლიკის დედაქალაქ სანტო-დომინგოს მოსპობას უქადიან. ეს ცნობილი გახდა დომინგოს რესპუბლიკის კონსტიტუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰოტინ კურის დეპეშიდან, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა.

დეპეშაში ნათქვამია, რომ 13 მაისს დილით „შეერთებული შტატების ჯარებმა ქალაქს შეუტიეს თავიანთი ეგრეთწოდებული „უშიშროების ზონეს“ პოზიციებიდან“. თვითმფრინავებმა, რომლებიც ფრინდნენ სან-ისიდროს სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, რომელსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარები, „ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს და ცეცხლგამჩენი ბომბები დააყარეს სანტო-დომინგოს რადიოსადგურს, დახოცეს ბევრი ხალხი და ქალაქს მიაყენეს დიდი მატერიალური ზარალი“. „უშიშროების ზონაში“ შიმდინარეობს „ჯარების, ტანკებისა და არტილერიის თავმოყრა“.

საგარეო საქმეთა მინისტრი შეშფოთებულია ინდოეთმა, რომ სანტო-დომინგოში მყოფმა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალურმა კომისიამ „არავითარი ყურადღება არ მიაქცია კონსტიტუციური მთავრობისა თხოვნასა და საჩივრებს“. „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ცხადყო, — ბაზს უსვამს ჰოტინ კური, — რომ ენარი არ შესწევს მოაწესრიგოს დომინგოს სიტუაცია და წინააღუდგეს შეერთებული შტატების ზრახვებს“.

საგარეო საქმეთა მინისტრი სთხოვს უ ტანს პირადად ჩაერიოს, რათა „ალკეთოს ქალაქის მოსპობა და მისი გმირი მცხოვრებლების ხოცვა-ჟლეტა“. ამავე დროს იგი სთხოვს სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭო დომინგოს რესპუბლიკაში შექმნილ კითარებასთან დაკავშირებით.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ქალაქებში აქტიურად მუშაობს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. კალკუტაში საზოგადოების განყოფილება სცემს თავის ჟურნალს, საზოგადოების ასობით წევრი სწავლობს რუსულ ენას და კითხულობს წიგნებს რუსულ ენაზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საზოგადოების წევრების შეხვედრა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციასთან.

ფოტო ვ. გენდე-როტესი.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲝᲗᲘᲥᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ამის შესახებ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 მაისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს ორმოცდაერთი წევრიდან ოცდაერთმა ხელი მოაწერა ეგვიპტელ, ინდოელ, ბოლივიელ, ბულგარელ, ჩეხოსლოვაკიელ, ეთიოპიელ, ფრანგ, ინგლისელ, ინდონეზიელ, ირანელ, ალჟირელ, იორდანელ, კენიელ, ლიბანელ, ნიგერიელ, ნორვეგიელ, პაკისტანელ, სენეგალელ, სომალელ, ტანზანიელ, ფილიპინელ, ჩილელ, ეკვადორელ, ეთიოპიელ, ბელგიელ, ბრაზილიელ, ბურუნდელ, ბურმელ, ბულგარელ, ბელორუსელ, ბენინელ, ბოლივიელ, ბაბადოსელ, ბაჰამელ, ბარბადოს

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

იყავით თუ არა თქვენ, მეგობრებო, თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში მისი რეკონსტრუქციის შემდეგ? — გირჩევთ აღარ დაყოვნოთ! თქვენ გელით ნამდვილად დიდი სიამოვნება. ასეთი მაღალი გემოვნებით და, ამავე დროს, სადად შესრულებული თეატრალური შენობა, რომელშიც თანამედროვე არქიტექტურული ფორმები ძალზე ორგანულად არის შერწყმული ეროვნული სამშენებლო და დეკორაციული ხელოვნების მოტივებთან, დაამშვენებდა რომელსაც განებავთ ქალაქს.

თეატრის რეკონსტრუქციასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა სცენა, სათავსები, გასაქანი მიეცათ მსახიობებს, რეჟისორს, ბალეტმასტერს, მხატვარს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცვლილებები შეეხო არა მარტო თეატრის ინტერიერსა და ექსტერიერს, არამედ ნაწილობრივ თვით დასსაც და ორკესტრსაც, რომელიც შეიგსო ნიჭიერი ახალგაზრდობით, გაიზარდა რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც.

თავისი დღეისასწაული თეატრმა სპეციალური საკონცერტო პროგრამითა და პრემიერით — ი. პალმანის „მონმარტრის ᲘᲘᲗᲘ“ აღნიშნა, რომელიც ჩვენმა მაყურებლებმა პირველად მოისმინეს ქართულ ენაზე (ტექსტი დ. გაჩეჩილაძისა).

„მონმარტრის ᲘᲐ“ კალმანის — „ოპერეტის მეფის“ უდავოდ ყველაზე პოეტური ქმნილებაა, მუსიკითაც და სიუჟეტითაც, იგი პუჩინის „ბოჰემის“ თავისებური ოპერეტული ვარიანტია.

ბუნებრივია, რომ თეატრის მთელმა კოლექტივმა დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულითა და გატაცებ- **ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ** ით იმუშავა. სპექტაკლის მოწვეულ იქნა ისეთი ავტორიტეტული ხელოვანი, როგორიც არის სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, აგრეთვე ნიჭიერი მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი. ყოველივე ამან სასურველი შედეგიც გამოიღო. ვფიქრობ, არ შევცოდავ სინამდვილის წინაშე, თუ ვიტყვი, რომ ასეთი მაღალი მუსიკალური კულტურის სპექტაკლი თეატრს წარსულში არ ახსოვს.

დიდი შრომა გასწია სპექტაკლის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დერეფურრა მიხეილ ბორჩხაძემ. ორკესტრისა და სოლისტების ანსამბლი მტკიცე და ორგანულია, ვოკალური პარტიები სრულდება პროფესიულად, კულტურულად.

აკაკი ვასაძის — რეჟისორის დებიუტი მუსიკალური კომედიის თეატრში მაღალი შეფასებია ღირსია. რეჟისორმა ბევრი სიმახვილე, ჟანრის სპეციფიკის ფაქიზი შეგრძნება გამოავლინა და შექმნა ცოცხალი, ტემპერამენტული სპექტაკლი. მონახულია საჭირო პრომორციები სატირიკულ-კომიკური და ლირიკული აქცენტების განაწილებაში.

სპექტაკლის ორგანულ ნაწილად იქცა ცეკვები, რომელთა დადმაც ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბალეტმაისტერ დ. მაჭავარიანს ეკუთვნის.

შემსრულებელთა შორის, პირველ რიგში, ყურადღება მიმდა შეგაჩერო რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებზე, ვეგენია გურაშვილსა და თინა მერკვილაძეზე. არა მარტო იმიტომ, რომ „მონმარტრის იაში“ მათ მთავარი როლები აქვთ დაკისრებული. ათიოდე წლის წინათ, კონსერვატორიის აღზრდილები, ისინი თითქმის ერთად მივედნენ ამ თეატრში. მაშინ, როდესაც სხვა ახალგაზრდები ამას რატომღაც თაკლობდნენ, და გაინაწილეს მძიმე ტვირთი ქალთა ყველა წამყვანი პარტიების შესრულებისა. ამ ხნის მანძილზე მათ მეტად ნაყოფიერად იმუშავეს, არტისტულად გაიზარდნენ და დაიხვეწნენ. ჩვენი მაყურებლისა და თავიანთი კოლეგების სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს. მათი მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს ჩვენი არტისტული ახალგაზრდობისათვის.

ვიოლეტასა და ნინონის პარტიები თითქოს სპეციალურად მათთვის არია დაწერილი. მიამიტი და უშუალო, ნამდვილი ბუნების შვილი ვიოლეტა (ე. გურაშვილი), კეკლუცი და გრაციოზული ნინონი (თ. მერკვილაძე) ძალზე ბუნებრივად შეაკავშირეს ერთმანეთს. გურაშვილის შესრულებაში ჭარბად არის სითბო. ლირიზმი, წრფელი ხალასი გრძნობა. ხუმრობს თუ იტანჯება, იცინის თუ ტირის, იგი ყველაფერს აკეთებს უშუალოდ და ბუნებრივად. ნინონის როლის შესრულება მერკვილაძის ნათელი მიღწევაა, მისი შემდეგომი არტისტული წინსვლისა და სრულყოფის მაჩვენებელია. მის შესრულებას თან სდევს ამ როლისათვის აუცილებელი ელვარება, „ბრიო“, ნამდვილი „კასკადური“ პეწი. შესანიშნავად მიაყავს მას თავისი ვოკალური პარტია, განსაკუთრებით ცეცხლოვანი „კარამბოლინა“, რომელიც დარბაზის ენთუზიაზმს იწვევს.

მთავარი გმირი ვაკეა—რაულის როლის შემსრულებელი ჯ. სარალიძე, რომელსაც საზოგადოდ კარგი ვოკალური მონაცემები აქვს, პრემიერის დღეს ავადმყოფობის გამო აშკარად არ იყო ფორმაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ შექმნილ სცენურ სახეს ერთგვარად აკლია უშუალობა და ბუნებრივობა, რითაც გამოირჩევიან, მაგალითად, მისი მეგობრები — ერვე (ა. ნებიერაძე), ანრი (ნ. პიპინაშვილი), აგრეთვე მოხუცი ფრანსუა (დ. მაჭავარიანი).

როგორც მუდამ, მოწოდების სიმაღლეზეა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ქუთათელაძე, რომელიც ფრანკატის გრიტესკულ სატირიკულ სახეს ქმნის. რესპუბლიკის სახალხო არტისტს ე. ჩოხელს სპექტაკლში პატარა როლი აქვს დაკისრებული (ბადამ არო), მაგრამ მის მიერ შექმნილი სახე მნახველს მეხსიერებაში რჩება.

ასეთია, მოკლედ, ის შენიშვნები, რომლებსაც იწვევს თეატრის მორიგი პრემიერა — „მონმარტრის ია“. იმედია, რომ ის წარმატება, რომელიც ამჯერად ხვდა თეატრის კოლექტივს, არ დარჩება უბრალოდ ავიანად და განმეორებული იქნება მისი შემდგომი წინსვლითა და შემოქმედებითი მიღწევებით. ახალი პირობები, რომელშიც ამიერიდან მუშაობს თეატრი, უკვე გვაძლევს უფლებას მაჭისმაღლური კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელოთ მისი შემოქმედების შეფასებაში.

ამჟამად თეატრი კიდევ ორ ახალ წარმოდგენას ამზადებს, და სასიხარულოა, რომ ორივე თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების კალამს ეკუთვნის. ესენი ს. ნასიძის „სტუდენტები“ (ნ. ხუნწარიას ლიბრეტო) და ა. კერესელიძის „ალუბლები ყვავიან“ (ო. რაზმაძის ლიბრეტო).

მუსიკალურ საზოგადოებრიობას სრული უფლება აქვს გაზრდილი მოთხოვნები წაუყენოს არა მარტო თეატრის კოლექტივს, არამედ ჩვენს კომპოზიტორებსაც. ახლა, როდესაც, ნიჭიერი არტისტულ ახალგაზრდობას ძველ გვარდიასთან ერთად ნამდვილად პერსპექტიული შემოქმედებითი ანსამბლი აქვს შექმნილი, თეატრს ძალუძს რთული მხატვრული ამოცანების გადაწყვეტა.

იმედია, რომ თეატრის კოლექტივი თვალსაჩინოვით გაუფრთხილდება არა მარტო ახალ შენობას, არამედ თავის შემოქმედებით რეპუტაციასაც, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომელსაც ესოდენ დიდი ამაგი აქვს ზემოხსენებულ სასიხარულო ცვლილებებში, მოპავალშიც მზრუნველობასა და მეურვეობას გაუწევს მას.

გ. ტორაძე.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. გურაშვილი (ვიოლეტა), მსახიობი ჯ. სარალიძე (რაული). რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. მერკვილაძე (ნინონი).

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲛ — ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲒᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ, ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲙᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲔᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲣᲙᲐᲕ ᲐᲗᲝᲒᲘᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲭᲐᲑᲔᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲜᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲘᲖᲔᲘᲛᲐ ᲐᲮ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲭᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲝᲥᲣᲠᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ.

ᲣᲜᲓᲒᲠᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲯᲐᲕᲘ · ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი იშტანე კონდორი და უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი დეერდ როუა. 14 მაისს უნგრელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ, რათა გაეცნონ, თუ როგორ არის დაყენებული ჩვენს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო მუშაობა. ამავე დღეს ისინი მიიღეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში. რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალიშვილმა და აპ სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარიშვილმა უნგრელ სტუმრებს გააცნეს ბიბლიოთეკების მუშაობა საქართველოში.

(საქდესი).

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ, 15 მაისი. (საქდესი). „კიბოს ჯერ კიდევ ადამიანის საბედისწერო თანმგზავრია, მაგრამ კიბოს პრობლემის გამო გამართული ყოველი საერთაშორისო სამეცნიერო შეხვედრის შემდეგ სულ უფრო მეტი იმედი გვეძლევა, რომ ადამიანებს ეიხსნით ამ მძიმე ავადმყოფობისაგან. ეფექრობ, სოხუმის სიმპოზიუმი გამონაკლისი არ იქნება ამ კანონზომიერებაში. თუ ჩვენ შეეძლებთ დავამტკიცოთ, რომ არსებობს სიმსივნეთა ანტიგენები, და გამოვყოფთ მათ სუფთა სახით, ეს გზას გაუკაფავს კიბოს საწინააღმდეგო იმუნიტეტის შექმნას. ამრიგად, ის, რაზეც ამ დღეებში ვდავობთ სოხუმში, მარტო თეორიულ ინტერესს როდი იწვევს. სპეციფიკურ სიმსივნეთა ცილების საკითხების ეურიულ შემუშავებას შეიძლება მოპყვეს პროფილაქტიკური ალერგია, ვაქცინაცია. და მაშინ ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე ჩვენი ხანგრძლივი შრომის ჯილდო იქნება“.

კიბოს იმუნიტეტის (ბელგია) პროფესორის ჯ. მეზენის ეს სიტყვები შესანიშნავად მოწმობს, თუ რა ცხარე მსჯელობაა ახლა საერთაშორისო სიმპოზიუმზე სიმსივნეთა სპეციფიკურ ანტისხეულთა შესახებ. ეს სიმპოზიუმი უკვე მეორე დღეა მუშაობს სოხუმში. მეცნიერები განიხილავენ მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, ეძებენ ავთვისებიან სიმსივნეთა წინააღმდეგ ბრძოლის გზებს.

სიმპოზიუმში მონაწილეობენ ვირუსოლოგები, ონკოლოგები, იმუნოლოგები.

ᲗᲐᲝᲒᲐᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 42-Ე ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲛᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲗ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲝᲛᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲗᲕᲔᲗ ᲙᲐᲑᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲨᲣᲗᲐᲕᲐ ᲓᲐ Ვ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲘᲡ ᲝᲛᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ Ტ. ᲗᲐᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛ ᲓᲐ Ვ. ᲘᲐᲨᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛ, ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲔᲣᲤᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ — Მ. ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ Მ. ᲮᲐᲠᲐᲫᲔᲛ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲜᲔᲚᲘᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ Დ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ, ᲐᲒᲠᲗᲕᲔᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ Კ. ᲙᲘᲒᲘᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ Გ. ᲛᲝᲚᲩᲐᲜᲝᲕᲐ.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ ᲒᲐᲘᲜᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

Რ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲚᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲗᲔᲚᲐ“

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში არსებობს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ციცინათელა“, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. სებუა, ხოლო ქორეოგრაფი — — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. შუბაშიკელი. ანსამბლში გაერთიანებული არიან მარგანეცის მრეწველობის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები.

მაღაროელთა ანსამბლი „ციცინათელა“ დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს. მის კონცერტებს ყოველთვის მრავალი მაყურებელი ესწრება. მან, გარდა ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡᲐ, კონცერტები გამართა შავიზღვისპირა კურორტებზე, მოძმე ნიკოპოლელებთან და ლატვიელებთან.



ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲛ — ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲒᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ, ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲙᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲔᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲣᲙᲐᲕ ᲐᲗᲝᲒᲘᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲭᲐᲑᲔᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲜᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲘᲖᲔᲘᲛᲐ ᲐᲮ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲭᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲝᲥᲣᲠᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲚᲐᲒᲔᲕᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲘᲡᲐᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲐᲛᲨᲕᲔᲚᲐᲠᲨᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲬᲘᲚᲘ. ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲚ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲗᲕᲔᲗ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ, ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠ